ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2017 წლის 7 დეკემბრის სხდომის

ოქმი № 6

სხდომას ესწრებოდა: 35 წევრიდან – 19.

დღის წესრიგი:

1. ბაკალავრიატის 2018 წლის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება
   მომხს: რ. ჯორბენაძე
2. ცვლილებები სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში
   მომხს: თ. დოლბაია
3. ფაკულტეტის ბიუჯეტის შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია
4. საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელთა დამტკიცების სესახებ
   მომხს: რ. ჯორბენაძე
5. დოქტორანტთა ხელმძღვანელისა და სადისერტაციო თემების დამტკიცება
   მომხს: ვ. მელიქიძე

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რევაზ ჯორბენაძემ საბჭოს წევრებს გააცნო ბაკალავრიატის 2018 წლის ანკეტა-კითხვარი

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, ა. ბერძენიშვილმა, ნ. დურგლიშვილმა, ნ. ბელქანიამ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ბაკალავრიატის 2018 წლის ანკეტა-კითხვარი (ოქმს თან ერთვის).

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს შესთავაზა, შევიდეს ცვლილება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში და მოთხოვნას დოქტორანტთათვის 2 პუბლიკაციის შესახებ, დაემატოს განმარტება, რომ ერთი პუბლიკაცია აუცილებლად უნდა იყოს გამოქვეყნებული "SCOPUS"-ის ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში, ან საკონფერენციო მასალებში, დაბეჭდილი სტატიის სახით (Conference Proceedings).
აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, ნ. ბელქანიამ, მ. შამილიშვილმა და სხვ.

დაადგინეს:

1. შევიდეს ცვლილება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში და მუხლი 11.4 იკითხებოდეს შემდეგნაირად:

" ... ორი პუბლიკაცია, სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში. მათ შორის ერთი პუბლიკაცია რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალში, მეორე – "SCOPUS"-ის ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში, ან საკონფერენციო მასალებში დაბეჭდილი სტატიის სახით (Conference Proceedings).
2. აღნიშნული ცვლილება გადაეცეს თსუ აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს განსახილველად წარუდგინა ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტი. მან აღნიშნა, რომ ახალ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ის სიახლე, რაც 2017 წელს იქნა მიღებული "სახელმძღვანელოების კონკურსის" პროექტის სახით; შენარჩუნებულია "მიზნობრივი სამეცნიერო – კვლევითი პროექტი" და შემოთავაზებულია ახალი პროექტი "საერთაშორისო სამეცნიერო ინდექსირებულ (1,5 და ზევით) ჟურნალებში გამოქვეყნების ხარჯები"
აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ, ა. კუხიანიძემ, ვ. ლორთქიფანიძემ, ი. კაჭკაჭიშვილმა და სხვ.
დაადგინეს: ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტი, წარმოდგენილი სახით, დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.

მოისმინეს: 4. სამაგისტრო პროგრამის "მედია და ახალი ტექნოლოგიები" ხელმძღვანელთა დამტკიცებისა და "ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის" საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთა ცვლილების შესახებ ისაუბრა რ. ჯორბენაძემ და დამსწრეთ წარუდგინა დეპარტამენტის სხდომის ოქმი

აზრი გამოთქვეს: მ. შამილიშვილმა, ხ. მაისაშვილმა, ზ. დავითაშვილმა და სხვ.
დაადგინეს:

1. სამაგისტრო პროგრამა "მედია და ახალი ტექნოლოგიების" ხელმძღვანელებად დამტკიცდნენ ასოცირებული პროფესორები რევაზ ჭიჭინაძე და ხათუნა მაისაშვილი
2 "ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის" საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთ ხელმძღვანელად დამტკიცდეს ასოცირებული პროფესორი ნინო ჭალაგანი

მოისმინეს: 4. ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ვ. მელიქიძემ დამსწრეთ გააცნო სადისერტაციო საბჭოს მდივნის ს. დუნდუას წერილი, დოქტორანტთა სადისერტაციო თემებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ
აზრი გამოთქვეს: მ. შამილიშვილმა, ნ. პავლიაშვილმა, ვ. მელიქიძემ, მ.წერეთელმა და სხვ.
დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანთა სადისერტაციო თემები და ხელმძღვანელი წარმოდგენილი სახით:

თემის დამტკიცება:

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია, ნატალია მესტვირიშვილი - მე-2 სემესტრის დოქტორანტი; თემის სათაური: „განათლების რეფორმა - სისტემის მოდერნიზაცია და ძირითადი ტენდენციების რეპრეზენტაცია ქართულ პრესაში (2006-2016წწ);" სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი (2017 წლის 20 ივლისის სადისერტაციო საბჭოს სხდომა, ოქმი #4)

თემის სათაურის ცვლილება:

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია, თამარ ნარინდოშვილი - მე-6 სემესტრის დოქტორანტი; ძველი თემის სათაური: ,,უსაფრთხოების საკითხები ქართულ მედიაში 1991-2015 წწ.), შეეცვალოს ახალი სათაურით - ,,ტერორიზმისა და უსაფრთხოების საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში" (1995-2015 წწ.) ხელმძღვანელი: პროფესორი მარიამ გერსამია (2017 წლის 20 ივლისის სადისერაციო საბჭს სხდომა, ოქმი #4)

თემის ცვლილება:

საზოგადოებრივი გეოგრაფია, სალომე კობაიძე - მე-2 სემესტრის დოქტორანტი; ძველი სადისერტაციო თემა „კლიმატის ცვლილების საერთაშორისო პოლიტიკის ჩამოყალიბება და რეალიზაცია საქართველოს მაგალითზე“ შეეცვალოს ახალი თემით: „საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის მდგრადი განვითარების სივრცითი ასპექტები, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი, ვალერიან მელიქიძე (2017 წლის 20 ივლისის სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმი #4).

ხელმძღვანელის დამტკიცება:

“სოციოლოგიის” სადოქტორო პროგრამის მე-7 სემესტრის დოქტორანტ მარინა ქევხიშვილის მეორე ხელმძღვანელად დამტკიცდეს ჩრდილოეთ ტეხასის უნივერსიტეტის უფროსი ლექტორი რ. ჯეფერსონ ჯორჯი (2017 წლის 30 მარტის სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმი №5).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ჯ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: მ.შამილიშვილი, ასოცირებული პროფესორი

7 დეკემბერი, 2017

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

1. თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი
5. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. თორნიკე თურმანიძე

პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტი

9. ალექსანდრე კუხიანიძე
10. მალხაზ მაცაბერიძე
11. გია ჟორჟოლიანი
12. ნანა მაჭარაშვილი

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის დეპარტამენტი

13. ნინო ჭალაგანიძე
14. ხათუნა მაისაშვილი
15. მარი წერეთელი
16. მანანა შამილიშვილი
17. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი

18. ნინო პავლიაშვილი
19. გიორგი გოგსაძე
20. ვაჟა ლორთქიფანიძე
21. ვალერიან მელიქიძე

ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტი

22. რევაზ ჯორბენაძე
23. ნოდარ ბელქანია
24. ზურაბ აბაშიძე
25. თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

26. ალისა სულამანიძე
27. ანნა ჯაყელი
28. მარიამ ლაცაბიძე
29. ელენე ლომსაძე
30. ანნა ცქიტიშვილი
31. გიორგი გოგატიშვილი
32. დიმიტრი სანაია
33. ტარიელ ირემაძე

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,
ქალბატონ თამარ დოლბაიას

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსს,
ბატონ რევაზ ჯორბენაძეს

ამავე ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის
მიმართულების ხელმძღვანელის, ასოც. პროფესორის,
ნინო ჭალაგანიძის

მ ი მ ა რ თ ვ ა

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 5 დეკემბერს გაიმართა ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სხდომა, რომელსაც ესწრებოდა მიმართულების 13 პროფესორი. სხდომის დღის წესრიგში, სხვა საკითხებთან ერთად, წარმოდგენილი იყო სამაგისტრო პროგრამის: „მედია და ახალი ტექნოლოგიები" ხელმძღვანელის არჩევისა და საგანმანათლებლო პროგრამის: „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია" ერთ-ერთი ხელმძღვანელის ცვლილების საკითხები. გთავაზობთ ამონაწერს სხდომის ოქმიდან:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების

2017 წლის 5 დეკემბრის სხდომის

ოქმი # 4

სხდომას ესწრებოდნენ: სხდომის თავმჯდომარე, ასოც. პროფ. ნ. ჭალაგანიძე, სხდომის მდივანი: ასოც. პროფ. მ. შამილიშვილი, ასოც. პროფესორები: მ. წერეთელი, თ. ჯოლოგუა, ნ. ტალახაძე, ნ. კუპრაშვილი, მ. ტორაძე, რ. ჭიჭინაძე, ხ. მაისაშვილი; ასისტენტ-პროფესორები: თ. ბელქანია, ხ. კაჭარავა, მ. მემანიშვილი, მ. ლომიძე.

დღის წესრიგი:

1. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელის არჩევა;
2. სამაგისტრო პროგრამის: „მედია და ახალი ტექნოლოგიები" ხელმძღვანელის არჩევა;
3. საგანმანათლებლო პროგრამის: „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია" ერთ-ერთი ხელმძღვანელის არჩევა.
4. სხვა საკითხები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის, ასოც. პროფესორის, ნ. ჭალაგანიძის წინადადება სამაგისტრო პროგრამის: „მედია და ახალი ტექნოლოგიები" ხელმძღვანელის არჩევის შესახებ. მისი ინფორმაციით, საკითხი დღის წესრიგში დადგა მას შემდეგ, რაც პროგრამის ხელმძღვანელმა, დალი ოსეფაშვილმა ვერ მიიღო აკადემიური თანამდებობა სრული პროფესორის შესარჩევ კონკურსში. ნინო ჭალაგანიძემ სხდომის მონაწილეებს პროგრამის ახალ ხელმძღვანელებად შესთავაზა ასოც. პროფესორების: რევაზ ჭიჭინაძისა და ხათუნა მაისაშვილის კანდიდატურები.

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფესორმა ნათია კუპრაშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის მისაღები იყო ორივე კანდიდატურა; იმედი გამოთქვა, რომ მათი გამოცდილებისა და კომპეტენციის პირობებში პროგრამა დაიხვეწება და განხორციელდება მნიშვნელოვანი ცვლილებები. პროგრამაში ცვლილებების აუცილებლობაზე გაამახვილეს აგრეთვე ყურადღება ასოც. პროფესორებმა: ნ. ჭალაგანიძემ, მ. ტორაძემ, მ. წერეთელმა. პროგრამის სპეციფიკის შესახებ აზრი გამოთქვა ასისტ.პროფესორმა მ. მემანიშვილმა.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე. სხდომის მონაწილეებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი რ. ჭიჭინაძისა და ხ. მაისაშვილის კანდიდატურებს.

დაადგინეს: სამაგისტრო პროგრამის „მედია და ახალი ტექნოლოგიები" ხელმძღვანელებად არჩეულ იქნან ასოცირებული პროფესორები: რ. ჭიჭინაძე და ხ. მაისაშვილი.

მოისმინეს: საგანმანათლებლო პროგრამის - „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია" კოორდინატორის, ასოც. პროფ. მ. შამილიშვილის წინადადება აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილებასთან დაკავშირებით. მისი ინფორმაციით, ეს საჭიროება მას შემდეგ შეიქმნა, რაც ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა,

რუსუდან ვაშაკიძემ ვერ მოიპოვა საძიებელი აკადემიური თანამდებობა ასოც. პროფესორის შესარჩევ კონკურსში.. მის ნაცვლად, მ. შამილიშვილმა სხდომის მონაწილეებს შესთავაზა ასოც. პროფესორის, ნინო ჭალაგანიძის კანდიდატურა.

აზრი გამოთქვეს: სხდომის მონაწილეთა უმრავლესობამ მოიწონა წამოყენებული კანდიდატურა. ნ. ჭალაგანიძის არჩევას მიესალმნენ და ნდობა გამოუცხადეს ასოცირებულმა პროფესორებმა: თ. ჯოლოგუამ, მ. წერეთელმა, ნ. კუპრაშვილმა.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე. სხდომის მონაწილეებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ნ. ჭალაგანიძის კანდიდატურას.

დაადგინეს: საგანმანათლებლო პროგრამის - „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია" ხელმძღვანელად არჩეულ იქნას ასოც. პროფესორი ნ. ჭალაგანიძე.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ სხდომაზე მიღებული ცვლილებები და დაგვრთოთ ნება, წარმოვადგინოთ ფაკულტეტის საბჭოზე დასამტკიცებლად.

პატივისცემით,

ნინო ჭალაგანიძე

06.12.2017

2018 წლის ბიუჯეტის პროექტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

32 04 05 01 01	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2018 ბიუჯეტი
00	ჯამური	2593820
2	ხარჯები	2583820
2.1	შრომის ანაზღაურება	1852260
2.1.1	ხელფასები	1852260
2.1.1.1	ხელფასები ფულადი ფორმით	1852260
2.1.1.1.1	თანამდებობრივი სარგო	1852260
	თანამდებობრივი სარგო -აკადემიური პერსონალი	1290 000,00
	თანამდებობრივი სარგო -ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	562 260,00
2.2	საქონელი და მომსახურება	694000
2.2.1	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	471000
	აკადემიური პერსონალის-საათობრივი ანაზღაურება	300 000,00
	ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ანაზღაურება	120 000,00
	პოსდოქტორანტების ანაზღაურება	0,00
	უცხოეთიდან მოწვეული პერსონალის ანაზღაურება	20 000,00
	თარგმნის და რედაქტირების ანაზღაურება	6 000,00
	სახელმძღვანელოების კონკურსის ფარგლებში (ანაზღაურება)	25 000,00
2.2.2	მივლინება	60000
2.2.2.1	მივლინება ქვეყნის შიგნით	3 000,00
2.2.2.2	მივლინება ქვეყნის გარეთ	57 000,00
2.2.3	ოფისის ხარჯები	22000
2.2.3.3	ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები	22 000,00
2.2.4	წარმომადგენლობითი ხარჯები	35000
2.2.4.1	მათ შორის: მიღებებისა და ოფიციალური სადილის, წვეულებისა და სხვა ღონისძიებების ხარჯები	12 000,00
2.2.4.2	მათ შორის: საექსკურსიო და კულტურულ–სანახაობათა ღონისძიების ხარჯი	0,00
2.2.4.3	მათ შორის:სასტუმროს მომსახურების(ადგილების დაჯავშნა, ცხოვრების ღირებულება და სხვა) ხარჯები	8 000,00
2.2.4.4	მათ შორის: აეროპორტში დახვედრა გაცილება, მგზავრობის ხარჯები	12 000,00
2.2.4.5	მათ შორის: სუვენირების შეძენის ხარჯები	3 000,00
2.2.10	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	106 000
	სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	1 000,00
	სამეცნიერო კვლევების მიზნობრივი დაფინანსების მიზნით გაწეული ხარჯები(გრანტების თანადაფინანსების ხარჯი)	50 000,00
	პრაქტიკისა და ექსპედიციის ხარჯები	35 000,00
	საერთაშორისო ინდექსირებულ (1.5 და ზევით) ჟურნალებში გამოქვეყნების ხარჯები	20 000,00
2.8	სხვა ხარჯები	37 560

	მათ შორის :საუნივერსიტეტო დაფიხახსება (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა)	
	მათ შორის:სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, იმიტირებულ პროცესებში და სხვა დაფინანსების ხარჯები.	37 560,00
31	**არაფინანსური აქტივების ზრდა**	**10 000**
	მათ შორის: წიგნები	10 000,00

დანართი 1

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კოდი:	
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება:	ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფაქტიური მისამართი და ტელეფონი	0128, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი, 8
ვებგვერდი	www.tsu.ge
ელ.ფოსტა	chancellery@tsu.ge
საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	
ინფორმაცია წლიური გადასახადის შესაძლო ცვლილების შესახებ	

პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	აკრედიტებულია თუ არა	დაფინანსება	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური გადასახადი	ადგილების რაოდ.	ქართ. ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	გეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	სამოქალაქო განათლება	სახ. და გამოყ.ხელოვნებ	შემოქმედებითი ტური	პრიორიტეტები
								1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
1.საზოგადოებრივი გეოგრაფია 2.სოციოლოგია 3.სოციალური მუშაობა 4.პოლიტიკის მეცნიერება	1. სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში; 2. სოციოლოგიის ბაკალავრი; 3.სოციალური მუშაობის ბაკალავრი; 4.პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი.	აკრედიტირებული	ფინანსდება	ქართული	240	2250	430	3	3	3	3	3	3					3			1-2-3-4/5/6/11
				ადგილების ქვოტა არჩევ. საგნების მიხედვით							80	165	165					20			
				შენიშვნა				მიუხედავად იმისა, თუ რომელ ევროპულ უცხო ენას აბარებს აბიტურიენტი (ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული) ყველა სტუდენტს უწევს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება.													
საერთაშორისო ურთიერთობები	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი	აკრედიტირებული	ფინანსდება	ქართული	240	2250	60	3	3	3	3	3	3								3-2-1-4/5/6
				ადგილების ქვოტა არჩევ. საგნების მიხედვით							10	25	25								
				შენიშვნა				მიუხედავად იმისა, თუ რომელ ევროპულ უცხო ენას აბარებს აბიტურიენტი (ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული) ყველა სტუდენტს უწევს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება.													
ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი	აკრედიტირებული	ფინანსდება	ქართული	240	2250	90	3	3	3		3	3								1-2-3-5/6
				ადგილების ქვოტა არჩევ. საგნების მიხედვით								45	45								
				შენიშვნა				მიუხედავად იმისა, თუ რომელ ევროპულ უცხო ენას აბარებს აბიტურიენტი (ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული) ყველა სტუდენტს უწევს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება.													
ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (ქართულ-რსული)	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი	აკრედიტირებული	ფინანსდება	ქართული	240	2250	20	3	3	3		3	3								1-2-3-5/6
				ადგილების ქვოტა არჩევ. საგნების მიხედვით								10	10								
				შენიშვნა				მიუხედავად იმისა, თუ რომელ ევროპულ უცხო ენას აბარებს აბიტურიენტი (ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული) ყველა სტუდენტს უწევს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება.													